ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3091172

ნომერი: AR1475981

თარიღი : 04.02.2017

გაცემის თარიღი : 10.02.2017

გაცნობის თარიღი : 14.02.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N 23 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიული ხაზალია პ/ნ 62006003487
- ვაჟა-ფშაველას III კვარტალი კორპ. 13 ბ.25

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 2811692
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 1.09.2016

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზედ თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 05/12/2016 წლის №ბ-380832/12 ბრძანებაში ექსპლუატაციაში უარის თქმის შესახებ აღნიშნულია, რომ:

- "გ-ე" მონაკვეთში გაუქმებულია პანდუსი და მოწყობილია ასფალტის საფარი;
- +33,3 ნიშნულზე "7-6: მონაკვეთში დამატებით მოწყობილია მცირე ზომის ღიობი;
- არ არის ნაჩვენები მოწყობილი პროექტში ნაჩვენები გამწვანება;
- "1-1" ღერძის გარეთ მოწყობილია კედელი რომელიც სცდება წითელ ხაზებს;
- შეცვლილია რელიეფის დონე;

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურითვის განხორციელებული მშენებლობის დადასტურების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული აქტი, შესაბამისად, საჭიროა:

- აჩვენოთ შესაბამისი სართულის ანაზომი ნახაზები და როგორ ხვდება შშმპ შენობა-ნაგებობაში;
- მიჯნის ზონაში მოწყობილი ღიობები მოყვანილ იქნას პროექტთან შესაბამისობაში ან/და წარმოდგენილ იქნას შესაბამისი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა (გაითვალისწინეთ, თანხმობა ვრცელდება მხოლოდ 3 მეტრიან მიჯნის ზონაში მოწყობილ ღიობებზე);
- წარმოადგინეთ კ3 კოეფიციენტის საანგარიშო კროკი ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისად;
- შენობის ნაწილები არ უნდა სცდებოდეს საკადასტრო საზღვრებს;
- წარმოადგინეთ მიწისპირა სართულის განშლა ფაქტობრივი მდოგმარეობისა და რელიეფის ჩვენებით;
- შენობის ნაწილები არ უნდა სცდებოდეს საკადასტრო საზღვრებს;

მას შემდეგ რაც გამოსწორდება ხარვეზი, საჭიროა ჯერ ზედამხედველობის სამსახურს მიმართოთ - ბრძანებაში ცვლილების შესატანად (გამოსწორებული ხარვეზების შესაბამისად)და შემდეგ მომართოთ არქიტექტურის სამსახურს.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.